

შპს იკორთა 2007 ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
5. ფული და ფულის ექვივალენტები	12
6. სავაჭრო მოთხოვნები.....	12
7. მარაგები	12
8. ძირითადი საშუალებები	13
9. სავაჭრო ვალდებულებები	14
10. მოკლევადიანი სესხები	14
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
13. ხელფასები და სხვა სარგებელი	16
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საბალანსო ანგარიშგება	შენიშვნა	31-12-22	31-12-21 (გადაანგარიშებული)	31-12-20 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	3,663,870	2,101,019	1,456,613
სავაჭრო მოთხოვნები	6	605,968	252,985	374,773
საგადასახადო აქტივები		817,806	432,775	233,526
მარაგები	7	113,414	378,897	177,745
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,201,058	3,165,676	2,242,657
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	704,555	695,761	709,892
სულ გრძელვადიანი აქტივები		704,555	695,761	709,892
სულ აქტივები		5,905,613	3,861,437	2,952,549
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	7,617,303	4,485,573	3,037,957
მოკლევადიანი სესხები	10	509,398	238,904	401,548
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,126,701	4,724,477	3,439,505
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		200	200	200
აკუმულირებული ზარალი		(2,221,288)	(863,240)	(487,156)
სულ საკუთარი კაპიტალი		(2,221,088)	(863,040)	(486,956)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,905,613	3,861,437	2,952,549

ikorta
-2007

Digitally signed
by ikorta-2007
LLC

Date:
2024.05.24

დირექტორი

LLC

16:41:03
+04'00'

გივი ხურცილავა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		31-12-22	31-12-21 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი მომსახურებიდან	11	3,143,464	2,536,279
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	11	(3,853,035)	(2,175,676)
საერთო მოგება		(709,571)	360,603
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(116,842)	(197,864)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(229,414)	(290,289)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		-	(52,284)
სხვა შემოსავლები		-	17,942
სხვა ხარჯები		(9,691)	(69,183)
ზარალი პროცენტებამდე და საკუროსო სხვაობამდე		(1,065,518)	(231,075)
საპროცენტო ხარჯი	10	(292,530)	(145,009)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,358,048)	(376,084)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(1,358,048)	(376,084)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	200	(487,156)	(486,956)
წმინდა ზარალი	-	(376,084)	(376,084)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	200	(863,240)	(863,040)
წმინდა ზარალი	-	(1,358,048)	(1,358,048)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	200	(2,221,288)	(2,221,088)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს იკორთა 2007 არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი 205216327. კომპანია დაარსდა 2007 წლის 30 ივლისს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. აბაშიძის ქ. 44, ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 17ა.

კომპანიის წილის მფლობელები არის რეზიდენტი ფიზიკური პირი:

- გივი ხურცილავა (პ/ნ 01008022931) – 100%;

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ისტორიული ადგილების და ნაგებობების და მსგავსი კულტურული ძეგლების ექსპლუატაცია, არქიტექტურული საქმიანობები, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. კომპანიას მართავს აღმასრულებელი დირექტორი გივი ხურცილავა (პ/ნ 01008022931).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტმა გააკეთა პროგნოზი და სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის. შედეგად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2022 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ის ფინანსური უწყისები რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

საბალანსო ანგარიშგება	31-12-21 (გადაანგარიშებამდე)	31-12-20 (გადაანგარიშებამდე)	31-12-19 (გადაანგარიშებამდე)
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	2,100,921	1,456,514	1,545,999
სავაჭრო მოთხოვნები	295,383	264,150	326,435
საგადასახადო აქტივები	434,476	207,643	264,383
მარაგები	386,806	184,154	369,104
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,217,586	2,112,461	2,505,921
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	695,842	709,864	626,325
სულ გრძელვადიანი აქტივები	695,842	709,864	626,325
სულ აქტივები	3,913,428	2,822,325	3,132,246
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	4,629,693	3,047,293	3,022,643
მოკლევადიანი სესხები	238,906	401,551	357,801
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,868,599	3,448,844	3,380,444
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	200	200	200
აკუმულირებული ზარალი	(955,371)	(626,719)	(248,398)
სულ საკუთარი კაპიტალი	(955,171)	(626,519)	(248,198)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3,913,428	2,822,325	3,132,246

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-21 (გადაანგარიშებული)	31-12-20 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი მომსახურებიდან	2,517,393	4,484,196
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(2,210,346)	(4,010,341)
საერთო მოგება	307,047	473,855
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(183,110)	(150,249)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(273,684)	(512,470)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	(52,284)	(36,518)
სხვა შემოსავლები	18,509	6,983
სხვა ხარჯები	(121)	(13,202)
ზარალი პროცენტებამდე და საკუროსო სხვაობამდე	(183,643)	(231,601)
საპროცენტო ხარჯი	(145,009)	(146,720)
ზარალი დაბეგვრამდე	(328,652)	(378,321)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ზარალი	(328,652)	(378,321)

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2022 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო

ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ჯგუფში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.4 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული

ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

4.6 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

4.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-22	31-12-21
ფული საბანკო ანგარიშებზე, ქართული ლარი	3,663,870	2,101,019
ფული საბანკო ანგარიშებზე, უცხოური ვალუტა	-	-
სულ	3,663,870	2,101,019

6. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება სარეალიზაციო ფართებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევით, კომპანიის სერვისების მიმღებთა უმრავლესობა საქართველოს რეზიდენტებია.

მათი ბალანსები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-22	31-12-21
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	605,968	252,985
სულ	605,968	252,985

7. მარაგები

კომპანია მარაგებს აღრიცხავს უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ფასთა მეთოდის გამოყენებით.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-22	31-12-21
ნედლეული და მასალები	7,031	299,643
მზა პროდუქცია	7,619	7,619
სხვა ინვენტარი და მასალები	98,764	71,635
სულ	113,414	378,897

8. ძირითადი საშუალებები

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	63,950	-	63,950
შენობა ნაგებობები	356,469	-	356,469
მანქანა-დანადგარები	422,832	6,421	429,253
სატრანსპორტო საშუალებები	222,934	-	222,934
ოფისის აღჭურვილობა	34,431	-	34,431
სხვა ძირითადი საშუალებები	2,543	2373	4,916
სულ	1,103,159	8,794	1,111,953
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	-	-	-
შენობა ნაგებობები	146,765	-	146,765
მანქანა-დანადგარები	88,769	-	88,769
სატრანსპორტო საშუალებები	151,860	-	151,860
ოფისის აღჭურვილობა	20,004	-	20,004
სულ	407,398	-	407,398

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
----------------------	---------------------------------	----------	------------------------------------

მიწის ნაკვეთები	63,950	-	63,950
შენობა ნაგებობები	356,469	-	356,469
მანქანა-დანადგარები	411,084	11,748	422,832
სატრანსპორტო საშუალებები	196,501	26,433	222,934
ოფისის აღჭურვილობა	34,431	-	34,431
სხვა ძირითადი საშუალებები	2,543	-	2,543
სულ	1,064,978	38,262	1,103,159
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა ნაგებობები	136,459	10,306	146,765
მანქანა-დანადგარები	64,312	24,457	88,769
სატრანსპორტო საშუალებები	137,946	13,914	151,860
ოფისის აღჭურვილობა	16,397	3,607	20,004
სულ	355,114	52,284	407,398

9. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რეალიზაცია, ასევე არქიტექტურული და სხვა ტიპის სერვისები. შესაბამისად კომპანიის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები შედგება ამ სერვისების ფარგლებში წარმოქმნილი ვალდებულებებისა და კლიენტებისაგან მიღებული ავანსებისაგან.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31-12-22	31-12-21
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7,617,303	4,485,573
სულ	7,617,303	4,485,573

10. მოკლევადიანი სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კომპანიას მოკლევადიან სესხებად აღრიცხული აქვს ს.ს. ბაზისბანკისაგან მიღებული სესხები და სხვა საბანკო პროდუქტები.

კომპანიამ ზემოაღნიშნულ მოკლევადიან სესხებთან დაკავშირებით 2022 და 2021 წლებში აღიარა შესაბამისად 305,112 ლარი და 145,009 ლარი როგორც საპროცენტო ხარჯი.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მოკლევადიანი სესხები	31-12-22	31-12-21
მოკლევადიანი სესხები	509,398	238,904
სულ	509,398	238,904

11. შემოსავალი მომსახურებიდან და მომსახურების მომწოდებლების დანახარჯები

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის ისტორიული ადგილების და ნაგებობების და მსგავსი კულტურული ძეგლების ექსპლუატაცია, არქიტექტურული საქმიანობები, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2022 და 2021 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	3,143,464	2,536,279
მომსახურების მომწოდებლების ხარჯები	(3,853,035)	(2,175,676)
შემცენილი მასალები და მომსახურება	(3,853,035)	(2,175,676)
საერთო მოგება	(709,571)	360,603

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების გაშიფვრა კატეგორიების მიხედვით ასე გამოიყურება:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
დაზღვევის ხარჯი	18,459	21,991
ტრანსპორტის ხარჯი	25,428	89,768
საბანკო მომსახურების ხარჯი	8,325	7,843
ბუღალტრული მომსახურებისა და აუდიტის ხარჯი	1,800	31,025
სხვა ხარჯი	62,830	47,237
სულ	116,842	197,864

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-22	31-12-21
სახელფასო ხარჯი	215,823	272,744
პენსია და სხვა სარგებელი	13,591	17,545
სულ	229,414	290,289

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 და 2021 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 27,622 ლარი და 47,737 ლარი შესაბამისად.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.